



შპს დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტი

სტუდენტური დასაქმებისა და ინიციატივების
მხარდამჭერი SEIS ცენტრის
დებულება

შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტური დასაქმებისა და ინიციატივების მხარდამჭერი SEIS ცენტრი წარმოადგენს: სტუდენტთა დასაქმების, ინიციატივების მხარდაჭერის ხელშეწყობის ცენტრს, რომელიც საქმიანობს არსებული დებულების შესაბამისად.

მუხლი-1 ცენტრის მისია

1.1 შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტების ხელშეწყობა დასაქმებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება, შრომის ბაზარზე მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლება და შრომის ბაზრის ტენდენციების კვლევის შედეგად შესაბამისი ტრენინგებისა და შეხვედრების დაგეგმვა და განხორციელება;

მუხლი 2 ცენტრის მიზნები:

2.1 ცენტრის მიზნებია:

- ა) შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, დამსაქმებლების და დასაქმებულების შეხვედრების მონაცემების, მათი გამოკითხვის შედეგების ანალიზის შეფასება. ტრენინგების მონაცემები; შეხვედრების დროს სტუდენტებისთვის დასაქმებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება და გაცნობა;
- ბ) სტუდენტების დახმარება საკუთარი განათლებისა და კარიერის სწორად წარმართვასა და დაგეგმვაში;
- გ) დამსაქმებელთან ურთიერთობაში სტუდენტების მხარდაჭერა, დასაქმების ფორუმების მონაცემები და დამსაქმებლის ჩართულობა;
- დ) საგანმანათლებლო პროგრამების შედგენაში დამსაქმებელთან მჭიდრო თანამშრომლობა, შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება;
- ე) სტუდენტების იდეებისა და პროექტების დახვეწა სწორი რეკომენდაციების მიცემა და დარგის სპეციალისტებთან შეხვედრების ორგანიზირება;

მუხლი 3 ცენტრის საქმიანობა

3.1 ტრენინგები და შეხვედრები დამსაქმებელთან

ა) ცენტრი სტუდენტებს შრომით ბაზარზე ორიენტაციის მიზნით სთავაზობს: აქტუალურ თემებზე შეხვედრებს, ლექციებს, ტრენინგებს, სტუდენტს აცნობს დამსაქმებლის მიერ დასაქმებისთვის საჭირო აუცილებელ მოთხოვნებს.

- ბ) პრომის ბაზრის სპეციფიკის შესაბამისად სამუშაოს ძიების მექანიზმები;
 - გ) სწორი წარმოჩენა საკუთარი პრიორიტეტების, შესაძლებლობებისა და უნარების განსაზღვრა;
 - დ) რეზუმეს შედგენა, სამოტივაციო წერილის და აპლიკაციების მომზადება;
 - ე) დამსაქმებელთან ინტერვიუსთვის მომზადება, ასევე კომისიასთან გასაუბრებისას ცოდნის შესაზღვებლობების წარმოჩენა;
 - ვ) პრეზენტაციის უნარის განვითარება, საჯარო გამოსვლებისთვის მომზადება.
- ზ) ტრენინგები და სასერტიფიკატო კურსების შემუშავება და დაგეგმვა ხორციელდება სტუდენტების მოთხოვნების შესაბამისად.

3.2 ღონისძიებები და დასაქმების ხელშეწყობა

- ა) დასაქმების ფორუმი ცენტრი აწყობს დასაქმების ფორუმებს სტუდენტებისთვის.
- ბ) სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების კვლევა
- გ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ან სხვა მონაცვლადი ჯგუფების წევრი სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობა, მათი ჩართვა სოციალურ პროექტებში.
- დ) სასწავლო უნივერსიტეტი აწარმოებს დასაქმებულ კურსდამთავრებულს და დამსაქმებლის გამოკითხვას. შემშავებელია დასაქმებულის კითხვარი.

მუხლი 4 ცენტრის დაქვემდებარება

- 4.1 ცენტრი ექვემდებარება პრორექტორს საზოგადოებასთან და საზღვარგარეთთან ურთიერთობების საკითხებში;
- 4.2 ცენტრის ხელმძღვანელი ინიშნება სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მიერ.
- 4.3 ცენტრის ხელმძღვანელის საქმიანობა განისაზღვრება პრორექტორის მიერ საზოგადოებასთან და საზღვარგარეთთან ურთიერთობების საკითხებში;

